



## საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

„დემონებთან ბრძოლაში თითქოს ყველა ხერხი მისაღებია, მათ შორის პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო, რაც მიუღებელია“ - ლაშა ტულუში

„თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ საქართველოს მთავარი პრობლემა პოლიტიკური პოლარიზაციაა. ვფიქრობ, რომ ვერცერთი პრობლემა, დაწყებული სასამართლო რეფორმიდან დასრულებული ქვეყნის დეოკუპაციით ვერ მოგვარდება. არათუ ვერ მოგვარდება, არამედ ერთი მილიმეტრითაც კი ვერ წავიწევთ წინ, არა თუ ვერ წავიწევთ წინ არამედ სერიოზული რისკებია უკან დავიხიოთ“ - განაცხადა ლაშა ტულუშმა 2021 წლის 2 დეკემბერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიურ ასამბლეაზე, საქართველოს შესახებ გამართულ სესიაზე, სადაც იგი მომხსენებლად იყო მიწვეული. სესიის მთავარ თემა იყო: „პოლარიზაცია, როგორც ძირითადი გამოწვევა ქვეყნის ევროპისკენ მიმავალ გზაზე“.

ის ფაქტი, რომ ქვეყანას ამ დრომდე არ მიუღია 2021 წლის ასოცირების სამოქმედო გეგმა, მაშინ როცა უკვე 2022 წელი მოდის, ქვეყნის ევროპული განვითარებას აფერხებს. „დემონებთან ბრძოლაში თითქოს ყველა ხერხი მისაღებია, მათ შორის პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო, რაც რა თქმა უნდა ჩვენთვის მიუღებელია. ის ფაქტი, რომ ვერ ვახორციელებთ სასამართლო სისტემის რეფორმას, თავისთავად შეუძლებელს ხდის მაგალითად ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის დამტკიცებას, რადგან საქართველოს მხარე არ თანხმდება ევროპული მხარის მიერ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს შემოთავაზებას“.

თავის გამოსვლაში, ლაშა ტულუში ხაზს უსვამს მედიის საკითხის განხილვის მნიშვნელობას. „პირველად ხდება, რომ პოლიტიკური ძალები ხანგრძლივი დროით ბოიკოტს უცხადებენ მათ „ოპონენტ“ პარტიულ ტელევიზიებს რაც გამოიხატება მათვის კომენტარების არ მიცემაში, ჟურნალისტებისა და მედიების მიმართ აგრესიულ რიტორიკაში, სიძულვილის ენით შეპასუხებაში, დასმულ შეკითვაზე და დებატებში არ მონაწილეობაში „ოპონენტ“ ტელევიზიების ეთერებში. აღსანიშნავია, რომ პარტიებმა ბოლო არჩევნების დროს საერთოდ თქვეს უარი პოლიტიკური პროგრამების წარდგენაზე და მთლიან გადაერთნენ ოპონენტების შავ პიარზე“.

„ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს სხვა პოლიტიკა სურს. ამავდროულად მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოება, მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში, მეტიც ჩვენ გვსურს და ვითხოვთ ვიყოთ ახალი კონსესუსა და დიალოგზე დამყარებული პოლიტიკური პროცესის ნაწილი. რაც გულისხმობს რიტორიკის შეცვლას, პოლიტიკური ძალების დაბრუნებას

პოლიტიკურ ინსტიტუტებში, რეფორმების დღისწესრიგის დაბრუნებას“- ამ სიტყვებით დაასრულა თავისი გამოსვლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ყოველწლიურ ასამბლეაზე, ფონდი ლიბერალური აკადემიის დირექტორმა - ლაშა ტულუშმა.

საქართველოს შესახებ გამართულ სესიაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე - კახა კუჭავა, საპარლამენტო ოპოზიციის, პარტია „ლელო საქართველოსთვის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი - ანა ნაცვლიშვილი, მარინა კალიურანდი - ევროპარლამენტარი და ევროპარლამენტის დელეგაციის თავმჯდომარე სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში და დოროთა დლუჩი-სულიგა - აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხრივი განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე. სესიას მოდერირებას უწევდა კახა გოგოლაშვილი - ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი.